შეცდომებზეც უნდა ვისწავლოთ!

ლიეჟი. „სკლესენის“ სტადიონი. 21 აპრილი.

„სტანდარდი“ (ლიეჟი, ბელგია) – „დინამო“ (თბილისი, სსრ კავშირი) 1:0 (1:0).

„სტანდარდი“: პრიუდომი, გერეტსი, ენგელბერტი, პული, მეუვსი, ვანდერმისენი, ტაჰამატა, პლესერი, ჰაანი, ვენდტი, დაარდენი.

„დინამო“: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე (მესხი), სულაქველიძე, კაკილაშვილი (ცავა), ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: მ. რედელსი (გფრ).

გააფრთხილეს შენგელია, ხიზანიშვილი, ყიფიანი.

მაყურებლები – 40.000.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ბოლო წლების წარმატებები ყველასათვის ცნობილია; ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოგებამ 1981 წელს და ამავე გათამაშების წლევანდელმა ნახევარფინალში მონაწილეობამ დიდი ავტორიტეტი შეუქმნა ჩვენს გუნდს. კვლავ და კვლავ გვახსენდება უცხოეთის პრესის მრავალი სპეციალისტის პროგნოზები, რომლებიც „დინამოს“ უწინასწარმეტყველებდა წარმატებას ნახევარფინალის ორ მატჩში.

მაგრამ განვლო ნახევარფინალმა და მოხდა პირიქით – ფინალში გავიდა ბელგიის „სტანდარდი“.

მიზეზი? რა თქმა უნდა, ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ რამდენიმეს, რამაც უთუოდ გადაწყვიტა ფინალის საგზურის ბედი, დავასახელებთ: 21 აპრილის მატჩისათვის თბილისის „დინამო“ გარკვეული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. გუნდს დიდად აკლდა ტრავმირებული გუცაევი, რომლის აქტიურ თამაშს შეტევის წინა ხაზზე არაერთხელ მოუტანია წარმატება თბილისელთათვის. ამას გარდა, მწყობრში ახლად დაბრუნებული ხინჩაგაშვილი და მუჯირი, ეტყობა, ჯერ კიდევ არ იყვნენ სრულ ფორმაში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის, რომ „სტანდარდთან“ პირველი მატჩის შემდეგ 2 კვირის მანძილზე თბილისელებს არ ჰყოლიათ ხეირიანი მეტოქეები საწვრთნელი მატჩებისთვის, თვით კოლექტივი შუაზე იყო გაყოფილი – წამყვანი ფეხბურთელები გაემგზავრნენ საკავშირო ნაკრებში, დანარჩენები შინ დარჩნენ და ერთობლივი ვარჯიშის საშუალება მოესპოთ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს.

უნდა ვთქვათ, ისიც, რომ საპასუხო მატჩში ლიეჟის სტადიონზე თბილისის „დინამო“ მინდორზე გამოვიდა მხოლოდ ერთი თავდამსხმელით (შენგელია), დანარჩენები კი უმთავრესად შუა ხაზის მოთამაშეები არიან. მხოლოდ შესვენების შემდეგ გამოჩნდნენ მინდორზე ფორვარდები მესხი და ცავა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ერთი ფორვარდით თბილისელებმა პირველ 45 წუთში ვერაფერი გააწყვეს ბელგიელთა გამოცდილ მცველებთან.

დიდად შეუშალა ხელი ჩვენს გუნდს მსაჯის არაკვალიფიციურმა და ზოგ შემთხვევაში მიკერძოებულმა მსაჯობამ. მ. რედელსი „სინქრონულად“ მოქმედებდა თავისი თანაშემწეების ვ. შტაგლიგისა და კ. შიონის სიგნალებზე: სისტემატურად აღნიშნავდა ჩვენი ფეხბურთელების „თამაშგარე“ მდგომარეობას, რომლებიც ბევრჯერ სულაც არ იყვნენ „თამაშგარეთ“. ძალისმიერი ბრძოლის შედეგი, როგორც წესი, ბელგიელ ფეხბურთელთა სასარგებლოდ წყდებოდა ხოლმე. ამან, რა თქმა უნდა, ნერვიულობის ელემენტი შეიტანა დინამოელთა მოქმედებაში, ისინი ხშირად გამოდიოდნენ წონასწორობიდან, ეკამათებოდნენ მსაჯს, რომელიც სწორედ ამას ელოდა, რათა გაფრთხილებები მიეცა ჩვენი მოთამაშეებისთვის.

ყველაფერმა ამან საგრძნობი გავლენა იქონია თბილისის „დინამოს“ თამაშზე, მაგრამ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ორივე მატჩში ჩვენი გუნდი თავის შესაძლებლობაზე დაბლა გამოიყურებოდა. „სტანდარდთან“ ჩატარებულ ვერც ერთ შეხვედრას ვერ მივაკუთვნებთ დინამოელთა აქტივს: გაუბედაობა, მიდრეკილება დაცვითი თამაშისკენ, სუსტი შეტევა, დაბალი ტემპი, ტაქტიკური ერთფეროვნება ემჩნეოდა ჩვენი გუნდის თამაშს. ვერც შინ და ვერც სტუმრად თბილისელებმა ვერ გაიტანეს ვერც ერთი გოლი. ეგ კი არა და, „სტანდარდის“ კარი იშვიათი გამონაკლისის გარდა არ მდგარა რეალური ხიფათის წინაშე. 180 წუთის მანძილზე კარის მიმართულებით შესრულებული რამდენიმე დარტყმა, რა თქმა უნდა, წარმატებას ვერ მოგვიტანდა. ისიც სათქმელია, რომ მეორე მატჩში გატანილი გოლის გარდა ლიეჟის ფეხბურთელებმა კიდევ ორჯერ მოახვედრეს ძელს ბურთი და ამას გარდა კიდევ რამდენიმე კრიტიკული მომენტი შექმნეს „დინამოს“ კართან. ბელგიელი კოლეგისგან განსხვავებით გაბელიას არაერთხელ მოუხდა მაღალი ოსტატობის გამოვლენა.

ვინაიდან პირველ შეხვედრაში და მეორე მატჩშიც თბილისელთა კარში ლიეჟელმა დაარდენმა თავით გაიტანა ბურთები, უნდა ვიფიქროთ, რომ თავით თამაშში ჩამოვრჩებოდით მეტოქეს. ყოველ შემთხვევაში, კარის წინ თამაშისას დაარდენი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი მცველები.

პირველ მატჩში ყველასთვის ნათელი იყო, რომ „სტანდარდი“ მიმართავდა თამაშგარე მდგომარეობის ხელოვნურად შექმნის ვარიანტს და ეს ხერხი ბელგიელებმა არაერთხელ გამოიყენეს მეორე მატჩშიც, დინამოელმა ფეხბურთელებმა კი ვერ გამოძებნეს ეფექტური კონტრზომა ამ მანევრის საწინააღმდეგოდ.

ის ფაქტი, რომ ჩვენმა გუნდმა ლიეჟის „სტანდარდთან“ ვერ შეძლო ეჩვენებინა მისთვის დამახასიათებელი კლასის თამაში და ფინალში ვერ გავიდა, რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, მაგრამ აქვე არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მოგება და იმავე თასის გათამაშების ნახევარფინალში გასვლა დიდი წარმატებაა რომელიც გნებავთ გუნდისთვის და ეს დიდი წარმატება თბილისის „დინამოს“ მოპოვებული აქვს. ლიეჟის გუნდთან შეხვედრებმა და მისმა შედეგმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოადუნოს არც „დინამო“, არც მისი გულშემატკივრები. პირიქით, სწორედ ახლა, ამ გაკვეთილების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს საქმიანობა.

მომავალი ბრძოლების არენა კი დინამოელებს ფართო აქვთ სსრ კავშირის თასი, საკავშირო ჩემპიონატი, მონაწილეობა ევროპულ ტურნირში, დინამოელთა დიდ ჯგუფს ელის ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატი.

საძრახისი არავისთვის ყოფილა შეცდომებზე სწავლა, სწავლა და ახალი გამარჯვებები, ახალი მიღწევები – აი, რას მოველით ჩვენი ფეხბურთელებისგან ხვალ და ზეგ. მომავალ საპასუხისმგებლო მატჩებში.

„ლელო“, 24 აპრილი, 1982 წ.